№ 126 27 თიბათვე, სამშაბათი 1866—1878 27 თიბათვე, სამშაბათი № 126

ᲧᲚᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლში. № 8.

ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლებში, № 8.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ კანტორაში. Გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცერონთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲖᲔ“

ᲤᲐᲡᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ (პირველ ივლისიდამ პირველ იანვრამდინ 1879 წლისა) 4 მან. და 50 კაპეიკი.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ: თფილისში, (სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლებში, № 8). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

ᲣᲛᲝᲩᲠᲩᲘᲚᲔᲡᲐᲓ ᲕᲗᲮᲝᲕᲗ ᲘᲛ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲗ ᲨᲔᲛᲝᲢᲐᲜᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛ, ᲗᲣ ᲮᲡᲣᲠᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲑᲠᲙᲝᲚᲚᲔᲑᲚᲘᲗ ᲛᲘᲘᲦᲝᲗ, ᲠᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲣᲩᲐᲠᲝᲗ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ (ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘᲡ) ᲤᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲢᲐᲜᲐᲡ.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

(ᲮᲐᲚᲮᲗᲐ-ᲨᲝᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲘ)

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 23 Ივნისს. ᲑᲐᲖ. „Times“-ის აზრით, შესაძლებელია, რომ ᲑᲐᲗᲣᲛᲘ დაუთმონ რუსეთს, მაგრამ იმ პირობით, რომ ეს ქალაქი თავის დღეში არ იქმნეს ციხეებით გამაგრებული.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 23 Ივნისს. რუსეთი თანახმაა, რომ, კონტრიბუციის (ომის ხარჯის) ფულად მიღების მაგიერად, მიიღეს ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡᲐᲒᲐᲜ მიწები. რუსეთი უთმობს ამ შემთხვევაში ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ სხვა მოვალეებს.

ᲕᲔᲜᲐ, 23 Ივნისს. „პოლიტიკურს კორრესპონდენციაში“ იწერებიან: რუმინიის პალატმა გადაწყვიტა, რომ კოგალნიჩანუს ჩამოერთვას რუმინიის წარმომადგენლობის ღირსება ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲖᲔ.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 23 Ივნისს. რუმინიის მინისტრები (წარმომადგენლები) ᲑᲠᲐᲢᲘᲐᲜᲝ და ᲑᲝ�გᲐᲚᲜᲘᲩᲐᲜᲣ დღეს წავიდნენ აქედამ (ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲓᲐᲛ).

ᲙᲠᲝᲜᲨᲢᲐᲢ, 24 Ივნისს. დღეს საღამოს 9 საათზე მოვიდა აქ მესამე ᲙᲠᲔᲘᲡᲔᲠᲘ (მსწრაფლ-მავალი ხომალდი) თავისუფალ ᲤᲚᲝᲢᲘᲡᲐ, სახელად „მერინგია.“

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 24 Ივნისს. ᲑᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ სხდომაზედ გათავდა ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ საქმე: ყველა სახელმწიფოების წარმომადგენლებმა ერთ-ხმად სთქვეს, რომ იმ ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ ნაწილებს, რომელნიც ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘ უჭირავს, ავტონომია (თავისგნით ამორჩეულს გამგეობა) უნდა მიენიჭოსო; ამას გარდა დელეგატებმა აღიარეს რომ, ხსენებული ნაწილების შეერთება ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲗᲐᲜ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ დაამყარებდაო. ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ სამზღვარი ᲙᲐᲚᲝᲛᲐᲛᲓᲘᲜ და ᲡᲐᲚᲐᲛᲓᲠᲘᲐᲛᲓᲘᲜ უნდა იქნეს გაწეული. ᲑᲐᲓᲐᲬᲧᲔᲢᲘᲚᲘᲐ, რომ ᲜᲘᲙᲝᲛᲘᲪᲘᲐ ᲩᲔᲠᲜᲝᲒᲝᲠᲘᲐᲡ შეუერთდეს ᲔᲠᲗᲘ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲐᲜᲢᲘᲙᲐᲠᲘᲡ ნაესადგურისა ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐᲡ მიეცემა და მეორე კი ᲩᲔᲠᲜᲝᲒᲝᲠᲘᲐᲡ. Თ. ᲑᲐᲠᲩᲐᲙᲝᲕᲡ ლორდ ᲑᲘᲙᲝᲜᲡᲤᲘᲚᲓᲗᲐᲜ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ მოლაპარაკება.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 25 Ივნისს.

(ᲮᲐᲚᲮᲗᲐ-ᲨᲝᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲘ)

ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ:

პირველი გამოცემის —	96—75
მეორესი — — — —	96—25
მესამესი — — — —	96— „
მეოთხესი — — — —	96—12
ᲐᲦᲛᲝᲩᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ — —	94—62
ᲝᲥᲠᲝ, 1/2 იმპერიალი—	7—93
Თფილ. თავად-აზნ. ᲑᲐᲜᲙᲘᲡ გირაოს ფურცელი— — „— „	

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ 5% სესხის ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ:

	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	241	—
მეორე სესხის — — —	238	—75

1 მანეთი ღირს:

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ—	25—50	პენსი
ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘ—	127—50	ᲪᲔᲜᲢᲘ
ᲰᲐᲛᲑᲣᲠᲒᲘ— —	214— „	პᲤᲔᲜᲘᲒᲘ
�პᲐᲠᲘᲖᲘ — —	263—50	სანტიმი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲓᲘᲚᲘ ᲨᲔᲠᲘᲤ-ᲑᲔᲒᲗᲐᲜ

ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲡ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲪᲐᲮᲘᲓᲐᲛ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲩᲕᲔᲜᲙᲔᲜ გადმოსული ᲐᲭᲐᲠᲔᲚᲘ ᲨᲔᲠᲘᲤ-ᲑᲔᲒᲘ ᲮᲘᲛᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

მე ძალიან გულით მინდოდა იმის ნახვა; მინდოდა გამომეკითხნა რამე თვითონ იმის თავ-გადასავალზე და უფრო ᲐᲭᲐᲠᲘᲡᲐ და საზოგადოთ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ საქართველოს ქართველებზედ.

—

მინდოდა, მაგრამ მართალი გითხრათ-პირ-და-პირ მისვლა იმასთან მე, როგორც უცნობს კაცს, როგორღაც მეთაკილებოდა; სასიამოვნო არ არის, მარტო იმისთვის მოხვიდე კაცი უცნობ ვისმესთან, რომ მაიმუნივით გასინჯო, თითქო ჩვენება ჩამოართვა, რამდენსამე კითხვაზე პასუხი მიიღო და მერე წამოხვიდე.

ᲐᲛ გვარს შემთხვევაში, ამისთანა დაუპატიჟებელს სტუმართან კაცი თავის დღეში გულ-ღიათ და დაურიდებელად არ გეტყვის არაფერს, რაც გულზედ აწევს და რასაც ᲰᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ... სულ სხვა არის, როდესაც ამისთანა „საინტერესო კაცს“ ვინმე ნაცნობთან თითქო-შემთხვევით შეხვდები, გაეცნობი და დაუწყებ მასლაათს. მაშინ ის აღარ მოგერიდება, პირ-და-პირ იტყვის, რისიც თქმა უნდა და რასაც ᲰᲙᲘᲗᲮᲐᲕ, რადგან იცის, რომ საზოგადო, „კეთილ“ ნაცნობთან იმყოფება.

ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ შეხვედრას ვეძებდი მე ᲨᲔᲠᲘᲤ-ᲑᲔᲒᲗᲐᲜ, და მალეც ამუსრულდა ნატვრა:

ᲒᲐᲡᲣᲚ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 19 ივნისს, ის და უფ. მიხეილ მეფისოვი უფ. ᲡᲢ. მელიქიშვილთან იყვნენ სადილად მოწვეულნი. სხვათა შორის, მეც არ გაუშვი, რასაკვირველია, შემთხვევა, რომ ამ სადილზე დავსწრებულვიყავ და მენახა, გამეცნო ᲨᲔᲠᲘᲤ-ᲑᲔᲒᲘ და აგრეთვე ᲐᲠᲢᲐᲐᲜᲘᲡ მაზრის ახლანდელი მმართველი უფ. მიხეილ მეფისოვი, რომელიც ამ უკანასკნელ დროს აგრეთვე გამოჩენილ კაცად შეიქნა, რადგან ᲨᲔᲠᲘᲤ-ᲑᲔᲒᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲙᲔᲜ მომხრობა, უეჭველია, იმას მიეწერება...

—

როდესაც მესამე საათის ნახევარზედ მივედი ჩვენი მასპინძლისას, თითქმის ყველა სტუმრები შოგროვილიყვნენ. ᲨᲔᲠᲘᲤ-ᲑᲔᲒᲘ მდივანზედ იჯდა; იმის გვერდით იჯდა Მ. მეფისოვი.

მე გამაცნეს ერთთანაც და მეორესთანაც; სანამ აქ მყოფი განაგრძობდნენ ჩემს მოსვლამდინ დაწყებულ მუსაიფს, მე მქონდა თავისუფალი დრო, რომ ეს

ორი საინტერესო პირი კარგათ დამეთვალიერებია.

—

შერიფ-ბეგი, როგორც თვითონ სთქვა, 45 წლის კაცია. „დიდ-კაცობა“ იმას პირველ შეხედვაზედვე ეტყობა: გარდაშლილი შუბლი, ნათელი სახე, თეთრი კანი, პატარა, ნაზი ხელები, დინჯი, დარბაისლური მიხვრა-მოხვრა და წყნარი, მშვიდობიანი ლაპარაკი.

ზორბა ტანზედ ქართული კაბა აცვია და მხრებზე დაკერებული ახალი პაგონები ამტკიცებენ, რომ ის რუსის ღენერალია.

შერიფ-ბეგი წმინდა, ნამდვილს ქართულს ლაპარაკობს; მხოლოთ სიტყვების გამოთქმაში გურულად უქცევს, იმ განსხვავებით, რომ გურულებს, როცა ლაპარაკობენ, თითქო ცეცხლი ამოდისთ პირიდამაო, ჩქარობენ, სხაპა-სხუპობენ, სიტყვებს ერთი მეორეზე მიაყრიან ასე, რომ ყური ვერ ასწრობს იმათი ლაპარაკის გაგონებას და ტვინი—გაგებას; შერიფ-ბეგი კი ფუფრო წყნარად, უფრო აუჩქარებლად ლაპარაკობს; და ისეთი ტკბილი „სიტყვა-პასუხი“ და უბრალო ლაპარაკშიაც კი ისეთი თითქო-ორატორული საუბარი აქვს, რომ მგონი, თავის დღეში არ მოგწყინდებათ იმას ყური უგდოთ. ერთის სიტყვით, როგორც ძველი დარბაისელი ქართველი თავადიშვილის ლაპარაკი გაგიგონიათ, ისე ლაპარაკობს.

ლაპარაკის დროს ძალინ ხშირად გადახედავდა ხოლმე მიხ. მეფისოვს, თითქო უნდოდა ამოეკითხნა იმის სახეზედ —მოსწონს მიხეილს რასაც მე ვამბობ, თუ არაო? საზოგადოთ ეტყობა, რომ შერიფ-ბეგს ძალიან უყვარს უფ. მეფისოვი და თანაც ამ უკანასკნელს იმაზე დიდი გავლენაც უნდა ჰქონდეს.

არც ერთი და არც მეორე გასაკვირველი არ არის. სიყვარული იმიტომ არ არის გასაკვირველი, რომ ორთავეს ერთის ძიძის რძე უწოვნიათ და ეს იმათში ისეთ ნათესაობათ ითვლება როგორც, მკვიდრი ძმები არიან; უფ. მეფისოვს რომ შერიფ-ბეგზე გავლენა აქვს—ესც ადვილად აიხსნება იმითი, რომ მეფისოვი ჭკვიანი, ძალიან მოხერხებული და, როგორც ჩვენში ამბობენ, „ვამოქნილი“ კაცია....

—

საზოგადოება აჭარაზედ ლაპარაკობდა.

— ქართული ხომ არ დაუვიწყნიათ იქითკენაო! ჰკითხა ვილამაც შერიფ-ბეგს.

— რა ბრძანებაა, ბატონო! მთელ აჭარაში სულ ქართულს ლაპარაკობენ, შინაობაში სხვა ენას ვინ ხმარობს? მამაკაცებმა კიდევ იციან თათრული, დედაკაცებს კი ქართული სიტყვა-პასუხი აქვთ.

— წერა-კითხვა, ბატონო ბეგო?

— მაგაში კი სუსტობენ. ალაგ-ალაგ კიდევ იციან ზემო აჭარაში, მაგრამ სხვაგან ძვირად. მოგეხსენებათ მედრესეები (შკოლები) აქვთ და იქ მოლლები ოსმალურ წერა-კითხვას ასწავლიან... უფრო დედაკაცებმა იციან ქართული კითხვა...

— ამბობენ, ბათუმს არ იძლევიან ოსტალები და ივარგებს აჭარა უ-ბათუმოთ? კითხა ერთმა ჩვენთაგანმა.

— რატომ არაი, ბატონო. აჭარაი ორია, ბატონო: ერთია ზემო-აჭარა; ქვეყანა მდიდარი, ყველაფერი უხვად მოდის; ხალხიც მდიდარი, მხნე, მამაცი და შრომის-მოყვარე; ისეთი გლეხი ვიცი, ბატონო, რომ წელიწადში ორმოც-დათი ფუთი ერბო გაუყიდია. მეორე აჭარაი ქვემო აჭარაია; ღარიბი ქვეყანა გახლავთ, მთა-კალდიანი არგილია სულ, არაფერი მოდის; ხალხიც ისეთი ამპარტავანი და თავ-მომწონია, რომ დიდი მეფე როგორ იქნება ისე!.. ახლა, ბატონო, ამ ზემო-აჭარის ხალხს ყველაფერი შეუძლიან მოიტანოს თფილისში, ან ქუთაისში, ახალციხეს, ოზურგეთს; რაც ეჭირება, მირკალი ვარო, თუ რკინეულობა, თუ სხვა რამ, ამ ქალაქებში იყიდის. ბათუმი მაინ-და-მაინც არაფრად დააკლდება იმას. ქვემო აჭარაი მთის ხალხია, ის ბევრს არც არარაის გაჰყიდის და არც იყიდის.. აღებ-მიცემობაი არ იციან, ბატონო, იქ...

— მოისურვებს კი აჭარის ხალხი ჩვენსკენ გადმოსვლას-მეთქი? ეკნთხე მე.

შერიფ-ბეგი ცოტა არ იყოს შეჩერდა; მერე გარდახედა მ. მეფისოვს და სთქვა:

— რატომ არა, ბატონო; თუ ბრძანება იქნება, იგინი როგორ გაბედვენ წინააღმდეგობას?!

— ამბობენ, თქვენი წამოსელა ეწყინათო?

— ეწყინათ კი არა, მეტი ჰქონეს; როგორც შეიტყვეს ჩემი წამოსელა, მეორე დღესვე მისულ ლან სხალტას და ჩემი სახლი, კარი, ყველაფერი გარდაუწვავთ. შემიტყვეს, რომ თვალი აქეთკენ მეჭირა და ძალიან განზედ მიყურებდენ... ადრე ცხრა ბათალიონი მყამდა, დერვიშ-ფაშა ყოველ კვირაია მწერდა: გეიწი, გეიწი ახალციხისკენო! რას გაჩერებულხარ ერთ ადგილასაო! ჯერ კი ვაღორებდი (ვატყუებდი), რომ გზა მაქეს გამაგრებული, ვერ დავინძრევი აქედამ. მაგრამ, როცა რუსის ჯარი არდანუჯისაკენ გაუშვი ხელ-უხლებელად, მაშინ კი სულ უფრო ეიღო ეჭვი დერვიშ-ფაშამ. ახლა სხვა ოსტატობა ვიხმარე: ჩხუბი ავტეხე ქვემო-და-ზემო-აჭარას შუა, წაუკიდე ისინი და ოთხი ბათალიონი იმათ დასამშვიდებლათ გავგზავნე; დამრჩა ხუთი ბათალიონი; კიდევ ორი სხვაგან გავფანტე და დამრჩა სამი ბათალიონი. ახლა კი მივწერე დერვიშ-ფაშას, რომ ამ სამი ბათალიონით წინ ვერ გევიწევი, ისევ აქ გავმაგრდები-თქვა და ვიყავი. მაგრამ ბოლოს მაინც იქი ჰქონდათ, კაცები მიდიოდნენ, ჩამასმინეს: იმას რუსისაკენ ეჭერავს თვალი და მეტი არ შემეძლო, ცოლ-შვილი ართაანში გავგზავნე და მე ახალციხეს გამოვიპარე.

— ახლა სულ ახალციხეში უნდა იცხოვროთ, ბატონო ბეგო?

— მაგი ვინ იცის, ბატონო. საქმეზე ჰკიდია; საცა მეტყვიან, იქ უნდა წავიდე. ჩვენი სახლობა უბედურია: ამ სამოც წელიწადში სამჯერ ანგრევებული ჩვენი ოჯახი: პაპუაჩემი სულთან მაჰმედმა მოიხმო სტამბოლში, მოჭრა თავი და რაც გაჩნდა, სუყველაფერი ფაშიებმა წაიღეს. მამა ჩემი იყო და ისიც აიკლეს; მე სულ ხელ-ახლად დავდგი ოჯახი, გეიშენე სახლი, მაგრამ ხომ ჰხედავთ, მეც რა ბედი მქონია: ყველაფერი მივატოვე, რაც გამაჩნდა, ოჯახი, სახლი, კარი და წამოვედი...

როდესაც თავის ბედზედ დაიწყო ლაპარაკი, როგორღაც დაღონდა და ჩაფიქრდა. ყველანი დაჩუმდნენ. მაგრამ მასპინძელმა გამოგვიხანა ამ მძიმე მდგომარეობიდგან:

— მობრძანდით, ბატონებო, სადილი მიირთვით!

ყველანი ავდექით, შერიფ-ბეგის წინამძღოლობით პურის-საჭმელ ოთახში შეველით და სუფრაზედ დავსხედით.

ჩვეულებრივად სადღეგრძელოები გიახელით. ყველა იქ მყოფი სტუმრისა და მასპინძლის სადღეგრძელო რომ დავლიეთ, მასპინძელმა აიღო სტაქანი ხელში და სთქვა:

— მეც ჩვენი მოძმე აჭარლების სადღეგრძელო იყოს!

ამ სიტყვის გაგონებაზე მე შეეატყე, რომ შერიფ-ბეგს სახე გაუნათლდა, სიამოვნების ღიმილი მოერია:

— კაი იქნება, ბ ტონებო, რომ აჭარლებიც ქართველებთან იყვენ შემოერთებული. მაგრამ თუ აგი არ მოხდა, საცაი უნდა იქნენ, ვინატროთ, ბედნიერად იყვენ. ბანათლებაი ეჭირება, ბატონო, იმათ. ამდენი ახალგაზდაი კაცები ხართ, განათლებულები, წადით, ვეიცანით, ზოგი აქ მოიყვანეთ, სკოლა გამართეთ, ასწავლეთ და ასე უნდა... აბა, რა ძმა ხართ, თუ ისე აბდლურად დატოვეთ?!

—

ეს იყო შერიფ-ბეგის უკანასკელი, და კარგი, სიტყვებიც.

შემდეგ სუფრიდამ ავდექით, ყავა დავლიეთ ზალაში და კიდეც გამოვეთხოვეთ მასპინძელს.

აქედამ შეთიფ-ბეგი შევიდა უფ. სტ. მელიქიშვილის სტამბაში და დაათვალიერა. სტამბიდამ ის წავიდა უფ. ჩარკვიანის ახლად-გახსნილს ქართულ წიგნების მაღაზიაში, იყიდა იქ ოცი ეგზემპლიარი ქართული ანბანი, თითო ეგზემპლიარი ყველა ქართული წიგნებისა, რაც კი იპოვებოდა ამ მაღაზიაში და შემდეგ შინ დაბრუნდა.

მეორე დღეს შერიფ-ბეგი და მ ხ. მეფისოვი ქუთაისში უნდა წასულიყვნენ, სადაც ამათ უცდიდა თ. ბრ. ბურიელი.

ს. მ.

—

ДЛИУРИ

*** Бушинწინ, კვირას, სოლოლაკზე ამოატარეს ორმოც-და-ათამდინ ახლად-გამოყვანილი მილიციონერები, რომელნიც, როგორც გვითხრეს, მანგლისისაკენ მიჰყავდათ; იმათ მიუძღოდა წინ ერთი მილიციის აფიცერი. Აუარებელიუ ქუჩისბიჭები ყვირილით, ხტუნვით და ერთის ამბით მისდევდნენ ამ მილიციონერებს.

Ერთმა სურათმა ძალა-უნებურად მიიქცია ჩვენი ყურადღება: ერთი ვიღაც მოხუცებული დედა-კაცი დროჟკაზე დამჯდარიყო და ტირილით და ღრიალით მიჰყვებოდა ამ ხალხს; სახე სრულებით დასისხლიანებული ჰქონდა; ამბობდნენ, თავის ხელებით დაიკოტნაო, სამჯერ წაუვიდა გული და გადმოვარდა დროჟკიდამაო. ჩვენ გვითხრეს, რომ ამ დედაკაცის ვაჟი წაიყვანეს მილიციაში და იმიტომ იკლავდა ასე მწარეთ თავსაო.

*** ჩვენ შევიტყეთ შემდეგი ამბავი: სხვათა შორის ვაჭრის სააცაზოვის ერთი პრიკასჩიკიც იყო თურმე სიაში ჩაწერილი და კენჭი უნდა ამოეღო. მაგამ ბედნიერად გადარჩა თურმე, არ ამოუვიდა. Თუმცა ეს ასე მოხდა, მაგრამ ერთი ვიღაცა მივიდა თურმე იმ პრიკასჩიკის დედასთან და ხუმრობით უთხრა რომ „შენი ვაჟი მილიციაში ამოვიდაო!“ Ამ ამბავმა ისეთი ზედმოქმედება იქონია თურმე საწყალ მოხუცებულ ქალზე, რომ იმწამსვე გული წაუვიდა და როდესაც საღამოს იმის ვაჟი დაბრუნდა მაღაზიიდამ, დედა მკვდარი დახვდა.

Მეორე დედა-კაცს სამი ვაჟი ჰყოლოდა, სამივესთვის თვითონ ამოეღო ბილეთი და არცერთს კი არ შეხვედროდა. Ამბობენ, ამ დედა-კაცს მომეტებულის სიხარულისაგან წაუვიდა გული და უგრძნობელი წაიყვანეს შინო. .

*** Გაზეთი „Ობზორი“ ამბობს, რომ სიღნაღში დაუბარებიათ Თფილისის Ღუბერნიის Სამმართველოდამ ასი კაცისათვის სატუსაღო ტანისამოსი. Მომეტებული ნაწილი საქობოს, Ბაქირისა და Ანაგის ხალხი არის დატუსაღებულიო; ამათ შორის ექვსი დედაკაციო.

*** Თელავიდამ გვწერენ, რომ ამ უკანასკნელ დროს ამ ქალაქში ლოტარეია შემოსულა მოდათ და ისე დღე არ გაიელის, რომ რომელიმე მცხოვრებელთან ათი, ოცი, ხან ორმოცი და მეტი ქალი არ შეიკრიბონ და ერთის ამბით არ ათამაშონ რომელიმე უბრალო ნივთი ლატარეიაში ჩაგდებულიო. Სხვათა შორის, ამ დღეებში ერთს თავ-მომწონე სომეხს თავის ახლად-ნაყიდ და გაწყობილ სახლში გაუმართავს ლატარეია. Ლატარეიაში ყოფილა, აბრეშუმის ბალდადი, რომელიც ერთს გასათხოვარ ქალს ამოსვლია; საუბედუროდ, ამ ქალის სახელი ერთს კიდევ სხვა ქალსაც რქმევია, რომელიც ამტკიცებდა, რომ მე მერგო ბალდადიო. Ამ ორ სეხნიას შუა მოსულა ჩხუბი ჯერ სიტყვით და სიტყვით რომ ვერ დაურწმუნებიათ ერთმანერთი, მერე ნაწნავებში ეცნენ თურმე..

*** Ბაქოს გაზეთი გვაცნობებს, რომ რამდენსამე ახალს ალაგს გამოჩენილა კიდევ ნავთის წყაროები და დიდ-ძალი ნავთი ამოხეთქაო. Ერთი ფუთი ნავთი, ხსენებული გაზეთის სიტყვით, Ბაქოში ამჟამად ერთ კაპეიკად ისყიდება თურმე.

ომის ამბები

КОНГРЕССИ

„Პეტერბურლის Უწყებებში“ დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 19 Ივნისს Ბერლინიდამ მიღებული:

„Დარწმუნებით ამბობენ, რომ Მცირე Აზიის საქმეების განხილვის დროს Კონგრესსზე ბევრი დაბრკოლება წარმოსდგებაო. Ლორდ Ბიკონსფილდი ჯერ-ჯერობით არაფერს არ ამბობს იმაზედ—თანახმა იქნება თუ არა, რომ Რუსეთმა შეიძინოს Ბათუმი და Უარსი; მაგრამ შესაძლებელია, რომ, როცა ამ საგნის შესახებ დაიწყებს Კონგრესსი სჯას, მაშინ ის წინ-ადუდგება Ბათუმისა და Უარსის დათმობაზედ.“

—

Სხვათა შორის Ბერლინის Კონგრესმა ისიც უნდა გადაწყვიტოს, თუ რამდენი კონტრიბუციის ფული უნდა მისცეს Ოსმალეთმა Რუსეთს. „Ბირჟის Უწყებები“ გვაცნობებენ, რომ ამ ომიანობაში Რუსეთს სულ 988,000,000 (ცხრა-ას ოთხმოც-და-რვა მილიონი მანეთი) აქვს დახარჯული ამ ივნისის დამდეგამდინაო.

—

ნემეცური გაზეთის „Პრესსის“ Ფილიპოპოლელი კორრესპონდენტი იწერება, რომ იმ გარემოებამ, რომ Კონგრესმა ორად გაყოფა გადაწყვიტა Ბოლგარიისა და ერთი ნაწილი (სამხრეთი) იმისი ისევ Ოსმალეთს დაუტოვა, ძალიან ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელს Ბოლგარიაშიო. Სამხრეთი Ბოლგარიის მცხოვრებნი აღრესს ამზადებენ Კონგრესსისთვისო და თხოულობენო, რომ ჩვენ მოძმეებს ნუ დაგვაშორებთო.

—

Ამბობენ, ვითომც თ. Ბისმარკმა ურჩია Ბიკონსფილდს, რომ Ინგლისმა თავის მხრითაც რამე დაუთმოს Რუსეთს:

„— მე Კონგრესზე სრულებით იმისთვის არ მოვსულვარო, სთქვა თურმე Ბიკონსფილდმა,—რომ ვისმეს რამე დაუთმოვო, „დათმობა Რუსეთის საქმეაო!“

—

საბაასო

ოსტატური თავის-გამართლება

У. რედაქტორო! მე წავიკითხე „Თფილისის Მოამბის“ მე-132 №-ში У. Ახუმოვის პასუხი შესახებ „Დროებიდამ“ გადმობეჭდილის ჩემი კორრესპონდენციისა—ურიებისაგან ვითომც ნაწვალების ბავშვის გვიან შემოწმებაზე.

Დარწმუნდით, რომ მე ნამდვილ წყაროებიდამა ვკრებ ცნობას.

„Დროების“ მე-№ 101-ის კორრესპონდენციაში ზემო-Იმერეთიდამ ერთი სიტყვა არ არის ტყუვილი და არც თქვენ, რედაქტორო, და არც ის რედაქტორი, რომელმანც გადაბეჭდა ეს კორრესპონდენცია თქვენის გაზეთიდამ, არ არის მოტყუებული.

Ის ბავშვი, რომელზედაც ლაპარაკია, დაიკარგა 4 აპრილს და მესამე დღეზე მკვდარი ნახეს, ესე იგი 7 აპრილს. Როგორც უფ. მომრიგებელი მოსამართლის უფ. Ახუმოვის პასუხიდგან სჩანს, ბავშვის სხეული ამოთხარეს საფლავიდამ და შეამოწმა ექიმმა Ახუმოვის თან-დასწრებით 14 აპრილს (იხილე „Თფილისის Მოამბე“ № 132 მესამე სვეტზე, 23 სტრ.). Ოთხი აპრილიდამ თოთხმეტ აპრილამდისინ, ათი დღე არის გასული!..

Ჩემგან გამოგზავნილ კორრესპონდენციაში არის ნათქვამი შემდეგი:

„Ბამომეძიებელი არ იყო თავის ადგილზე; იმის მაგიერ У. Ახუმოვი და ექიმი, როგორც იქნა, მეათე დღეს მივიდნენ ადგილზე და გაშინჯეს სხეული.“ მე დღესაც ვამტკიცებ, რომ ასე იყო. Ვამტკიცებ, რომ სწორეთ მეათე დღეს მივიდნენ გამომეძიებლად У. Ახუმოვი და შესამოწმებლად У. Დოქტორი.

Საკმაო არ არის Ახუმოვისაგან პასუხად 13 აპრილს შევიტყვე და თოთხმეტს აპრილს მივედიო. 13-ს აპრილს რამ მოუშალა 15 ვერსტზე წასვლა? Რა იყო მიზეზი, რომ ასე გვიან წავიდა ამ შესანიშნავ საქმის გამოსაძიებლად? Პოლიცია ამბობს, რომ ჩვენ, პირველ განცხადებაზედვე შევასრულეთ ჩვენი მოვალეობაო და ვაცნობეთ ვისაც რიგიაო და რა იყო მიზეზი, რომ ბავშვი კიდეც დამარხეს და საქმე გაათავეს? Ჩემის ჰაზრით, ან პოლიციამ არ მიაქცია ყურადღება ამისთანა საქმეს და არ შეატყობინა სასამართლოს თავის დროზე და ან პოლიციამ მოახდინა ჩქარა განკარგულება და გაუგზავნა ცნობა ვასაც რიგი იყო, მაგრამ ქალალდები არ გაუხსნიათ 13 აპრილამდე და მეორე დღეს კი წავიდნენ!

Თუ ასეა, აბა ამას ჰქვიან სწორედ ცხელ კვალზე საქმის მიყოლა! Ვინ არის დამნაშავე ასე საქმის დაგვიანებაში—ჩვენ არ ვიცით; მაგრამ სანამ არ შეგვატყობინებს У. Ახუმოვი: 1) რომელ რიცხვის დაიკარგა შავშვი, 2) რომელ რიცხვში მიუვიდა მას პოლიციის ცნობა და, რომელ რიცხვს მოხდა შემოწმება მკვდარი ბავშვის სხეულისა, მანამ გვაქვს

ჩვენ ეჭვი-საქმის დაგვიანებისა. დასაჯერი არ არის, რომ პოლიციამ არ მიაქცია ამ საქმეს ყურადღება და 4 აპრილიდამ 13 აპრილამდე ხმა არ ამოიღო. მით უფრო არ არის დასაჯერი, რომ საჩხერის პოლიციის პრისტავი ამტკიცებს, რომ მან, მიიღო თუ არა განცხადება პერევისის მამასახლისისაგან, მაშინვე აცნობა უ. ახუმოვს; რომელთაც არ იციან საქმე, ფიქრობენ, სწორეთ სუდიაც არ იყო შინო და ვინ მიიღებდა ქაღალდსო; გამომეძიებელი სხვაგან იყო და სუდიაც როგორ დატოვებდა ადგილს?

ამისთვის იმედი გვაქვს, არ დაიზარებს უ. ახუმოვი ორიოდე სიტყვის დაწერას და გვაცნობებს: როდეს დაიკარგა ბავშვი და რომელი ნომრით და რიცხვით მიუვიდა პოლიციის ცნობა მას? ამასთან ისიც გვაცნობოს, რომელი გარემოება არის გადაცემული „დროებისაგან“ არეულ-დარეულად?

N. N.

ყვირილა, 22 ივნისს.

ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცნობებს ქალაქის მცხოვრებლებს, რომ, ქალაქის რჩევის გადაწყვეტილების თანახმად, **გარდახდევინება** იმ **1875 წლის მეორე ნახევრის დასაფასებელი ხარჯისა**, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ზოგიერთებისაგან შემოტანილი, **მინდობილი აქვს** ღუბერნსკი სეკრეტარს **ალექსანდრე მიხეილის ძეს ჯაბაროვს**; ამის გამო გამგეობა სთხოვს იმ სახლის პატრონებს, რომელთაც ხსენებული ხარჯი არა აქვთ ჯერ შეტანილი ქალაქის ხაზინაში, წარუდგინონ ის ფული უფ. ჯაბაროვს, რომლისგანაც ფულის შეტანაში დაბეჭდილს კვიტანციას მიიღებენ; წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. ვინც თავის დროზე ფულს არ წარუდგენს, იმათ წინააღმდეგ უფალს ჯაბაროვს შეუძლიან იხმაროს ის ძალა-დასატანებელი ზომები, რომლის უფლებასაც აძლევს მას **საქალაქო წესდების 131 მუხლი**; ამას გარდა ქალაქის გამგეობამ სთხოვა უფ. თფილისის მთავარ-პოლიციმეისტერს, რომ ამ საქმეში ყოველგვარი შემწეობა აღმოუჩინოს უფ. ჯაბაროვს.

სია იმ მამულებისა (სახლებისა), რომელთაც გარდაუხდელი ხარჯი (ნედოიმკა) ადევთ, აგრეთვე რაოდენობა ამ ხარჯისა და ჯარიმისა გარდაცემული აქვს უფ. ჯაბაროვს, რომელიც მიიღებს იმასთან წარდგენილ ფულს თავის კაბინეთში, ქალაქის გამგეობის სადგომში ყოველ დღე დილის 9 საათიდამ ვიდრე შუადღემდინ. თუ ჯაბაროვი არ იქნება, მაშინ ფულის წარდგენა ქალაქის გამგეობის კასსაში შეიძლება. (3—1)

განცხადებანი

დაიბეჭდა და **ისყიდება** გ. ჩარკვიანის **წიგნის მაღაზიაში** და თელავს—სასულიერო სასწავლებელში, უფ. ცანციევთან

„ბატონიშვილი ირაკლის პირველი დრო

ანუ თავდადება ქართველთა“

ტრაგედია ოთხ მოქმედებად ,თხუზ. თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-ორბელიანისა.

გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი 30 კაპ ეიკი

(3—2)

საჭიროა კატარა ბიჭი მოსამსახურედ. მაურველს შეუძლიან მოვიდეს სტ. მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე, ამატუნის სახლებში. (3—3)

ნახევარი წლის ხელის-მოწერა გაზეთს

„ოგზოერზე“

(1 ივლისიდამ 1878 წლის 31 დეკემბრამდინ) მიიღება „ოგზორის“ კანტორაში (ბოლოვინის პროსპექტზე, სახლის № 7); ვაგზიენითა და მიტანით **ფასი 8 მანეთი.** ქალაქს გარეშე მცხოვრებლებმა გაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბირონ: Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „Обзоръ“. ვისაც ჰსურს ხელის-მოწერის კვიტანცია მიიღოს, 5 კაპეიკიანი ღერბის მარკა უნდა გამოგზავნოს.

სხვა ვადებზე ხელის-მოწერის პირობა ისევ ძველი დარჩება: ერთის წლით—15 მან., სამი თვით—4 მან. და 25 კაპ. და ერთის თვით—1 მან. და 50 კაპ. მსურველს შეუძლიან მთელის წლით მოაწეროს გაზეთზე ხელი და ფული კი ყოველი სამი თვისა წინათვე წარმოადგინოს. (3—1)

ახალი წიგნი

„ცოლი თუ გინდათ, ეს არის!“

ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი

ისყიდება: თ ფ ი ლ ი ს ში—ვართანოვის წიგნის მაღაზიაში.

ქ უ თ ა ი ს ში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

კირი

გასასყიდი, ვისაც ჰსურს, შეუძლიან იყიდოს ,ბუკიაში“, ნიკოლაევის ქუჩაზე, საცა ვ. ლ. პოტკოვის სპირტის სარდაფია სახლის № 44.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
გორი . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	57			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	8	43			8	57	4	76
ფოთი. . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . .	9	83						
ახ.-სენაკი.	10	14			1	18	-	66
სამტრედია.	11	5			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
გორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ:

	მ.	კაპ
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
გორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ,ახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

მაზანდა

თფილისი, 24 ივნისს.

	მან	კაპ
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ.	1	40
ფქვილი წითელი. . .	1	20
ქერი ფუთი . . .	1	20
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	50
—ამერიკისა, ფუთი . .	8	50
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფუთ.	8	50
—მარაღამისა ფუთ. .	5	40
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ძონი, ფუთი. . .	5	60
ძონის სანთელი ფუთი.	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	12	70
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	99
—ცხვრისა, ლიტრა .	—	99
სპირტი, ვედრო . .	5	20
შაქარი, ბოლ. ფუთი .	7	80
—ფხვნილი ფუთი . .	6	40
ყავა გრგვალი, გირვ. .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	13	—
თამბაქო, საშუალო ფუთი	8	50

თფილისის სამკურნალო

ერევნის მაიდანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.

ორშაბათს: ქიუჩარიანც—ხირურგი, ბარალევიჩი—შინაგ. ავთმყ.

სამშაბათს: ვერმიშევი შინაგ. ავთმყოფობის, რეიხი და ბახუტინი—ბებიაობის თვალის.

ოთხშაბათს: ვერმიშევი—შინაგანი ავთმყოფ., ბაკეტი—გულის და ნერვების ავთმყოფ.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგანი ავთმყოფ. ბავრინსკი—თვალის და ოპრეტი—კბილის.

პარასკევს: ვერმიშევი—შინაგ. ავთმყოფ. ბახუტოვი და ქიუჩარიანცი.

შაბათს: ვერმიშევი შინაგანი ავთმყოფობის., რეიხი—თვალის ავთმყოფ. და ბაკეტი—გულის და ნერვების.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26 Іюня 1878 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორის. მესხი.